

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ლ ე ი ლ ა ბ ე დ ი ა ნ ი ძ ე

არომატიზირებულ ღვინომასალების გამოხდით მიღებული სპირტებიდან  
მაღალალკოლინიანი სასმელების ახალი მარკების შექმნა.

სპეციალობა: 05.18.07. -ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო პროდუქტების  
წარმოების ტექნოლოგია

სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ბ ა ც ნ ე

ქ. თელავი, 2011 წ.

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმია-ტექნოლოგიის და ს/ზ კათედრაზე

მეცნიერ ხელმძღვანელი: ტექნიკის აკადემიური დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი მათე ჯავახიშვილი

- შემფასებლები:
- ქიმიის აკადემიური დოქტორი პროფესორი  
ბუხა წერეთელი
  - ტექნიკის აკადემიური დოქტორი  
მარიამ ხოსიტაშვილი

დისერტაციის დაცვა შედგება 2011 წლის 14 ივნისი 12<sup>00</sup> საათზე  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ს/ზ  
და გადამამუშავებელი დარგების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს  
სხდომაზე.

მისამართი: ქ. თელავი ქართული უნივერსიტეტის ქ 1.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა: 2011 წ 28 ივნისი

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

ქიმიის აკადემიური დოქტორი

ასოცირებული პროფესორი:

მზია დალოლიშვილი

## შრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა. ყურძნის პროდუქტთა შორის მაღალალკოჰოლიან სასმელებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქავების ეკონომიკაში; შესაბამისად მათი წარმოება ღვინის მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია.

მგავსად ღვინისა მაღალალკოჰოლიანი სასმელების წარმოება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ვაზის ჯიშებს, რათა დამზადდეს მაღალხარისხოვანი ღვინომასალები და ამ უკანასკნელთაგან მიღებულ იქნეს სასიამოვნო არომატისა და მიმზიდველი რბილი გემოს მქონე პროდუქცია.

მაღალალკოჰოლიანი სასმელების წარმოებისათვის ასეთ ჯიშებად საწყისშივე აღიარებული იქნა თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშები, რომლებიც იძლევიან შედარებით მაღალმუვიან და დაბალალკოჰოლიან ღვინომასალებს. ასეთი კონდიციის მქონე ღვინომასალების გამოხდისას წარმოიშობა რიგი ნივთიერებებისა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სპირტისა და თვით მზა მაღალალკოჰოლური სასმელის ბუკეტის ჩამოყალიბებაში.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ არა მარტო ღვინომასალის მუავიანობა და ალკოჰოლიანობა წყვეტს ძირითადად მისგან მიღებული სპირტის ხარისხს, არამედ ყურძნის არომატული ნივთიერებებიც, რომელთა ნაწილი გადადის ღვინომასალაში, შემდეგ მისი გამოხდით-დისტილატში, აქედან კი ბოლოს არომატიზირებულ სასმელ პროდუქტში, შესაბამისად ძლიერდება მიღებული პროდუქტის ბუკეტი და იგი ყოველმხრივ მიმზიდველი და ორიგინალური ხდება.

არომატული ნივთიერებანი მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ყურძენში. მიუხედავად ამისა, ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჯიშურ თავისებურებათა დადგენის საქმეში, ისინი თავისებურია ცალკეული ვაზის ჯიშისათვის, რაც საშუალებას იძლევა ვაზის ჯიშები და მათგან მიღებული ღვინომასალები ურთიერთისგან განვასხვაოთ. მათივე მეშვეობით შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ არომატიზირებული სპირტებიც.

თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევებით, ღვინო არამარტო ერთ-ერთი კვებთი პროდუქტია, არამედ მას აქვს სამკურნალო თვისებებიც და კვლევა იმისი, თუ რა თვისებები გაჩნია ღვინომასალების გამოხდის შედეგად მიღებულ სპირტებს, რა პროცესები მიმდინარეობს მათი დამკელებისას და რა მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მიღებულ პროდუქტში, საშუალებას მოგვცემს შევიმუშავოდ ტექნოლოგია ახალი მარკის მაღალალკოჰოლიანი სასმელების დასამზადებლად.

**კვლევის მიზანი:** ბოლო წლების მეცნიერული კვლევებით იქვეთება, რომ დვინო ერთი-ერთი კვებითი პროდუქტია, რომელიც შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს აუცილებელს ადამიანის სასიცოცხლო პროცესებისათვის.

ლეინომასალებში ანტიქსიდანტების, ფენოლური ნაერთების და სხვა შემადგენელ კომპონენტთა თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენა შესაძლებლობას იძლევა შემუშავებული იქნას მაღალალკოჰოლიანი სასმელების წარმოების ტექნოლოგიური პროცესები ახალი მარკის სასმელების შექმნის მიზნით, შესაბამისად, კვლევის მიზანს შეადგენდა ლეინომასალების და მათი გამოხდის შედეგად მიღებული სპირტების ფიზიკო-ქიმიური გამოკვლევა და მათი გამდიდრება ადამიანთა ჯანმრთელობისათვის საჭირო კომპონენტებით.

**მეცნიერული სიახლე.** საკითხის შესწავლა ითვალისწინებდა არამარტო მაღალალკოჰოლიანი სასმელების მასალები ლეინომასალის, არამედ მათი გამოხდის შედეგად მიღებული სპირტების ქიმიურად გამოკვლევას, დამკელების დაჩქარებას, არომატულ ნივთიერებათა აღდგენით პროცესებს სპირტებში და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებების გამოვლენას.

ლეინომასალებში და იმავე ლეინომასალებიდან მიღებულ სპირტებში განისაზღვრა ანტიქსიდანტური აქტივობა. დადგინდა ფიზიოლოგიურად აქტიური ოლიგომერების არსებობა, მაქსიმალურად შემცირდა სპირტების დამკელების ვადები, რითაც მიღწეულია დანაკარგების მაქსიმალურად შემცირება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა ტექნოლოგია ახალი მარკის მაღალალკოჰოლიანი სასმელების მისაღებად.

**სამუშაოს მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 119 გვერდს, 29 სურათს და 17 ცხრილს. ტექნოლოგიური ინსტრუქციას.

**კვლევის შედეგების აპრობაცია.** სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესრულების დროს მიღებული შედეგები მოხსენებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი დარგების ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ამავე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა XIV (69) სამეცნიერო კონფერენციაზე. (2011 წ.)

**პუბლიკაცია.** სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო ნაშრომში.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შესრულებულია 2008-2011 წლებში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობით სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან (საქართველოს მებაღეობის, მეგენახობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თელავის დაწინამდებრების კარხანა “შუმი”)

### **დასაცავად გასატანი ძირითადი დებულებები:**

1. არომატიზირებული ღვინომასალების წარმოება;
2. ახალი მარკის მაღალალკოჰოლური სასმელების “თელავი” და “კახეთი” დამზადების ტექნოლოგია.
3. გამოყენებული მცენარეული ნედლეულის დახასიათება.
4. არომატიზირებული ღვინოების, სპირტების, მაღალალკოჰოლური სასმელების “თელავი” და “კახეთი” ანტიოქსიდანტები აქტივობის გამოკვლევა.
5. არომატიზირებული ღვინოებისა და ექსტრაქტების ფენოლური ნივთიერებები.
6. არომატიზირებული ღვინოების და სპირტების ქრომატოგრაფიული ანალიზი.
6. არომატიზირებული სპირტების წიპრაზე დაძველება.

## სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი ლიტერატორული მიმოხილვა

განხილულია ლიტერატურული მასალა, რომელიც შეეხება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული ალკოჰოლური სასმელების, კერძოდ ბრენდების წარმოებას, თვით სახელის წარმოშობას, ალკოჰოლური სასმელების დამვეღების თავისებურებებს, საქართველოში წარმოებულ მაღალალკოჰოლურ სასმელებს.

ამავე თავში განხილულია ყურძნისა და ღვინის შემადგენლობაში შემავალი არომატული ნივთიერებები, მათი როლი ღვინისა და სპირტის ჩამოყალიბებაში. განხილულია ყურძენში სურნელოვან ნივთიერებათა ფორმები და მათი გავლენა ვაზში ყვავილობის დაწყებიდან ნაყოფის გადამწიფებამდე; ყურძნის ფენოლური ნაერთების გავლენა ღვინისა და კონიაკის ბუკეტზე, გემოზე, ფერზე, გამჭვირვალეობასა და სტაბილურობაზე, მათი როლი ორგანიზმი მიმდინარე სხვადასხვა დავადებების დროს, ღვინომასალის როლი ხარისხიანი სპირტის მიღებისათვის; გამოხდილი სპირტის ქიმიურ შედგენილობის დამოკიდებულება გამოსახდელი ღვინის ქიმიურ შედგენილობასა და გამოხდის მსვლელობაზე.

სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩატარებული კვლევების მიმოხილვა საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების მიმართულებას ახალი მარკის მაღალალკოჰოლიანი სასმელების შესაქმნელად.

## ექსპერიმენტული ნაწილი

### პლავის ობიექტები და განსაზღვრის მეთოდები

კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა:

ცივგომბორის ჩრდილო კალთებზე თელავის მიკროზონაში  
გავრცელებული რქაწიოლის ყურძნისაგან დამზადებული:

1. ევროპული წესით დაყენებული თეორი დვინო;
2. მცენარეული დანამატი-კომშის ფოთოლი;
3. მცენარეული დანამატი- ლიმონის ხის ანასხლავი და ფოთოლი;
4. არომატიზირებული დვინოები და სპირტები;
5. მაღალალკოლინიანი სასმელები “თელავი” და “კახეთი”
6. ექსტრაქტი კომშის;
7. ექსტრაქტი ლიმონის.

1. საანალიზო დვინოების კონდიციური მაჩვენებლები განვსაზღვრეთ  
მედვინეობაში გამოყენებული სტანდარტების მიხედვით:  
ტიტრული მჟავიანობა გატიტვრით;  
მქროლავი მჟავიანობა განსაზღვრული იქნა მათიეს მეთოდით;  
საერთო ფენოლური ნივთიერებების რაოდენობა განვსაზღვრეთ ფოლინ-  
ხოკალტეუს რეაქტივის გამოყენებით ლიგომერული პროანტოციანიდინები  
განვსაზღვრეთ პროანტოციანიდინების რეაქტივის დამატებით და გაცხელებით  
(ვამატებდით ნ- ბუთანოლი, HCL ნარევს)

კატებინები განვსაზღვრეთ საანალიზო ნიმუშებიდან ეთილაცეტატიანი  
ფრაქციების გამოყოფით, მათი აორთქლებით, მშრალი ნაშთის გახსნით 80%-იან  
ეთილის სპირტში და მიღებული ხსნარის გაანალიზებით. ნიმუშებს ვამატებდით  
განილინის რეაქტივს.

თვისებრივი ანალიზები ფენილკარბომჟავების ჩავატარეთ თხელფენვანი  
ქრომატოგრაფიის მეთოდით სილუფოლის ფირფიტებზე სისტემაში-  
ქლოროფორმი : მეთანოლი 90:10.

ქრომატოგრამები გავამჟღავნეთ დიაზოტირებული სულფანილის მჟავით.  
კატებინების თვისებრივი ანალიზი ჩავატარეთ ქაღალდის ქრომატოგრაფიის  
მეთოდით, გამხსნელად გამოვიყენეთ სისტემა: ნ-ბუთანოლი:მმარმჟავა:წყალი  
(4:1:2). ქრომატოგრამა გავამჟღავნეთ ვანილინის რეაქტივით.

2. დვინიდან არომატული კომპონენტების ექსტრაქციისას (გაზური ქრომატოგრაფიისათვის) გამოიყენება ეთერ-აენტანის ნარევი 1:2 ნიმუში თავსდება 1 ლიტრიან გამყოფ ძაბრში, ვიდებთ 100 მლ. დვინოს, ვამატებთ 120 მლ ეთერ-აენტანის ნარევს და ვანჯლრევთ 10 წთ-ის განმავლობაში. პერიოდულად ჰაერს გამოვაძევებთ, შემდეგ ისევ ვაყოვნებთ და ვანჯლრევთ, გამყოფი ზოლის შემდეგ გადმოგვაქვს ზედა ფენა. ასე ვაკეთებთ 3-ჯერ. შემდეგ ზედა ფენას ვამატებთ 50 მლ. გამოხდილ წყალს და ვრეცხავთ, წყალს ვდვრით, გარეცხვას ვაწარმოვებთ 2-3 ჯერ. წყლით გარეცხვის შემდეგ ეთერ-აენტანის ნარევს ვამატებთ 15-15 მლ.  $\text{NaHCO}_3$  2%-იან სსნარს და ვაწარმოვებთ გამორეცხვას 20 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ გადაგვაქვს შლეიფიან კოლბაში და ვაუწყლოებთ 3-5 გ უწყლო  $\text{Na}_2\text{SO}_4$ -ით. გაზურ-სითხური ანალიზისათვის მსუბუქად ვაორთქლებთ.  $20-25^\circ\text{C}$ -ზე, ჯერ 100-120 მლ-იან მრგვალძირიან ჭიქაზე, ხოლო შემდეგ სპეციალურ მიკროამაორთქლებელში შლიფიანი ყელით და წაგრძელებული ბოლოთი. აორთქლებული მასა უნდა იყოს 2-3 მლ. და შემდეგ შეგვაქვს ქრომატოგრაფში 1-2 მლლ-ის რაოდენობით.

აირად-ქრომატოგრაფიული ანალიზი ჩატარდა Perkin Elmer gazuri chromatografi CLARUS 500.

ნიმუშებში დაფიქსირებული პიკების იდენტიფიცირება მოხდა სტანდარტში მითითებულ ნივთიერებების და აგრეთვე ლიმონენის, ლინალოლის და ციტრონელოლის ეტალონურ სსნარებთან შედარებით, ხოლო რაოდენობრივი გამოთვლა შემდეგი ფორმულების საშუალებით  $C=X10000\rho$  სადაც  $\rho$  - საანალიზო ნივთიერების სიმკვრივე,  $X$  - საანალიზო ნივთიერების მოცულობითი წილი %,  $C$  - საანალიზო ნივთიერების მასური კონცენტრაცია, ხოლო უწყლო სპირტზე გადასაანგარიშებლად გამოყენებულია შემდეგი ფორმულები  $K=100\times K_1$  სადაც  $K_1$  - საანალიზო ნიმუშის სიმაგრე (გრადუსი), 100 - უწყლო სპირტის მოცულობითი წილი. ნივთიერების % უსპ.=  $C\times K$ .

#### 4. ანტიოქსიდანტური აქტივობის გაზომვის მეთოდი.

საყოველთაოდ მიღებული მეთოდიკის მიხედვით, (Gardner P.T., Mc Phail D.B., Duthie G.G.-Elektron spin resonance spektroskopie assessment of the antioxidant potential of teas in aqueous and organic media. J.Sci. Food Agric. 1998,76,257-262) დვინოს განვაზავეთ 5% v/v ეთანოლი/ წყლის (12: 88 v/v) ხსნარში. ხსნარის 3 მლ (ალიკვოტი) რეაგირებს იმავე მოცულობის 1 mM ფრემის მარილის ხსნართან ეთანოლი / წყალი 12/88 v/v. ფრემის რადიკალი დაბალ რეზონანსულ

კვლებში იზომება რეაქციის დაწყებიდან 20 წთ-ის შემდეგ. (საინკუბაციო დრო 20 წთ-ია) ქართული დვინოების ანტიოქსიდანტური თვისებები იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ სპეციალურ ვიდებთ 15 წთ-ის შემდეგ, რადგან 20 წთ-ის შემდეგ ფრემის მარილის საირტფიასისნარის სპეციალური საერთოდ ქრება და შეუძლებელია ანტიოქსიდანტური აქტივობის გაზომვა. როდესაც რეაქცია მთავრდება, ინტენსიურ სიგნალს იღებენ ორმაგი ინტენსიურებით და კონცენტრაცია დავითვალეთ საკონტროლო რეაქციით დვინის გარეშე ეთანოლი/წყალი 12/88 v/v 21°C ტემპერატურაზე. მიკროტალდური სიმძლავრე და მოდულაციის ამპლიტუდა იყო 2 mW და 0,01 mT შესაბამისად.

ამრიგად, ჩვენს მიერ გაზომილი ანტიოქსიდანტური აქტივობა დადგენილია 15 წუთიანი ინტერვალის შემდეგ.

(1 mM ფრემის მარილის მომზადების წესი:  $(\text{KSO}_3)_2 \text{NO}$  (M-268,34)-2,68 გ უნდა გაიხსნას ეთანოლი/წყალის 12/88 v/v 10 მილილიტრში.)

### ექსპერიმენტული კვლევის შედეგების მიმოხილვა

ჩვენი კვლევის შედეგები გამომდინარეობს მრავალსპეციალური ექსპერიმენტული სამუშაოდან, რომელიც მოიცავს, როგორც მაღალალკოჰოლური სპირტების მისაღები დვინომასალების წარმოებას, რომლებშიც არომატისა და ორგანიზმისათვის სასარგებლო ნივთიერებების გაზრდის მიზნით დადუდებამდე შევიტანეთ მცენარეული ნედლეული. ბუნებრივად დაწმენდილი დვინომასალები გამოვხადეთ შარანტის ტიპის მცირე მოცულობის აპარატში ორჯერადი გამოხდით ფრაქციული წესით. მიღებული სპირტების დაძველება მოვახდინეთ წიპტაზე. შევისწავლეთ ჩვენს მიერ წარმოებული არომატიზირებული დვინოების, მათი გამოხდის შედეგად მიღებული სპირტების და საბოლოო პროდუქტის წიპტაზე დაძველების შედეგად მიღებული მაღალალკოჰოლური სასმელების “თელავი” და “კახეთი” ფიზიკო-ქიმიური, ანტიოქსიდანტური, და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები.

### არომატიზირებული დვინომასალების წარმოება

არომატიზირებული სპირტის მისაღებად გამოყენებული იქნა ცივგომბორის ჩრდილო კალთებზე თელავის მიკროზონაში გავრცელებული რქაწითელის ჯიშის ყურძნი, რომელიც დავამზადეთ ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით.

ღვინომასალების დასამზადებლად ყურძენი იკრიფება 17-18% შაქრიანობით 5-6% ტიტრული მჟავიანობით. ღვინომასალების დასამზადებლად გამოიყენება მხოლოდ საღი ყურძენი. ყურძნის გადამუშავება მიმდინარეობს სუფრის თეთრი ეგროპული ტიპის ღვინოებისათვის დადგენილი წესით. დუღილის დაწყებამდე “კახეთი”-საბრენდე ღვინომასალისათვის გათვალისწივებულ ტკბილს ემატება კომშის ფოთოლი პექტოლიტრ ტკბილზე 2 კგ. ხოლო “თელავი” საბრენდე მასალისათვის დამზადებულ ტკბილს ლიმონის ანასხლავი და ლიმონის ფოთოლი პექტოლიტრ ტკბილზე 2კგ. ოდენობით. დუღილი მიმდინარეობს 18-20°C-ზე და გრძელდება 6-7 დღე. დუღილის დამთავრებისთანავე ჭურჭელი ივსება და შემდეგ ხდება მისი გამოხდა.

ღვინომასალები ჩვენ გამოვხადეთ შარანტის მცირე მოცულობის ტიპის სპირტსახდელ აპარატში, გამოხდა ტარდებოდა თითო ჯერზე 30 ლიტრის ოდენობით, აპარატის მცირე მოცულობის გამო თითოეულ ვარიანტში ღვინომასალა იხდებოდა 3-ჯერზე. (პირველადი გამოხდები) შემდეგ ხდებოდა გაერთიანება სამივე გამოხდის შედეგად მიღებული სპირტის ნედლეულის და იხდებოდა მეორედ და გროვდებოდა ფაქტოებად.

მეორადი გამოხდის შედეგად მიღებული ფრაქციებიდან ხდებოდა თავნახადისა და ბოლონახადის შეგროვება ცალკე, ხოლო შუანახადი გროვდებოდა არომატიზირებული სპირტისათვის.

ცდა მიმდინარეობდა ოთხ ვარიანტად: ამისათვის აღებული იქნა 300 ლიტრი ყურძნის წვენი

I ვარიანტი-საკონტროლო, 100ლ ყურძნის ტკბილი დუღილი წარიმართა წვეულებრივ.

II ვარიანტი-დუღილის დაწყებამდე 100 ლ. ყურძნის ტკბილი დაემატა 2კგ. კომშის ფოთოლი.

III ვარიანტი-დუღილის დაწყებამდე 50 ლ. ყურძნის ტკბილს დაემატა 1კგ. ლიმონის ფოთოლი.

IV ვარიანტი- დუღილის დაწყებამდე 50 ლ. ყურძნის ტკბილს დაემატა 1კგ. ლიმონის ანასხლავი. (შემდგომში გავაერთიანებ III და IV ვარიანტი)

ცდები განმეორდა ორი წლის განმავლობაში. I ვარიანტი-ევროპული წესით დაყენებული ღვინომასალის გამოხდის შედეგად მიღებული იქნა:

I ვარიანტი-საკონტროლო: II ვარიანტი-არომატიზირებული ღვინო (კომშის ფოთლით) კომშის არომატით; III ვარიანტი-არომატიზირებული ღვინო (ლიმონის ანასხლავითა და ფოთლით) ლიმონის არომატით.

## არომატიზირებული ღვინოების და ექსტრაქტების ფენოლური ნივთიერებები

საერთაშორისო არენაზე დღეისათვის გაძლიერდა მოთხოვნები კვების პროდუქტებისადმი ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მაგნე ზემოქმედების თვალსაზრისით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ე. წ. ანტიოქსიდანტები.

ანტიოქსიდანტური სისტემა წარმოადგენს თავისუფალი რადიკალების მიერ გამოწვეული დაზიანებისაგან ორგანიზმის დაცვის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: 1. ფერმენტული ანტიოქსიდანტები; 2. ვიტამინები; 3. სხვადასხვა ქიმიური ბუნების ბუნებრივი ანტიოქსიდანტები. ამათგან ბოლო მესამე ჯგუფის ანტიოქსიდანტებში მნიშვრელოვანი ადგილი უკავია ფენოლრ ნაერთებს, რომელთა ანტიოქსიდანტური აქტივობა განპირობებულია არომატული ბირთვის პიდროქსილის ჯგუფის წყალბადის ატომით, რომელიც უერთდება თავისუფალ რადიკალებს, რაც ხელს უშლის ლიპოპროტეინების დაჟანგვას და ორგანიზმს იცავს სხვადასხვა დაავადებებისაგან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ღვინოებში და სხვა სახის სასმელებში ფენოლები იმყოფებიან ხსნად მდგომარეობაში და არიან ადგილად ბიოათვისებადი, განსხვავებით იმ საკვებისაგან, სადაც ფენოლები პოლიმერულ, უხსნად შეკავშირებულ მდგომარეობაშია.

უოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ დამზადებულ საკონტროლო, არომატიზირებულ ღვინოებსა და საკუთრივ იმ მცენარეულ ექსტრაქტებში, რომელი მცენარეებითაც იქნა გამდიდრებული არომატიზირებული ღვინოები, განვსაზღვრეთ ფენოლური ნაერთები. **ცხ. №1**

**არომატიზირებული დვინოების და ექსტრაქტების ფენოლური ნივთიერებები**


№	მაჩვენებლები	საკონტროლო	დვინო I კომშის მცენარ. ნედლეულით	დვინო II ლიმონ. მცენარ. ნედლეულით.	ექსტრაქტი I კომშის მცენარ. ნედლ.	ექსტრაქტი II ლიმონ. მცენარ ნედლ.
1	საერთო ფენოლური ნივთიერებები გ/ლ	0,25	0,36	0,26	1,25	0,75
2	ოლიგომერული პროანტოციანიდობები მგ/ლ	83,2	164	104	364	52
3	კატენები მგ/ლ მათ შორის: (+) კატენი (+) გალოკატენი (-) ეპიკატენი ეპიგალოკატენი	65 + + + -	105 — + + კვალი	78 — — — —	185 + + + —	43 — — — —
4	ფენოლკარბონ-მჟავები და ალდე-ჰიდები (თვისობრ) 1. გალის მჟავა; 2. კოფეინის მჟავა; 3. პროტოკატენინის მჟავა; 4. პარა-კუმარინის მჟავა; 5. 4-ოქსი-ბენზოინის მჟავა; 6. ვანილინის მჟავა; 7. იასამნის მჟავა; 8. სალიცილინის მჟავა; 9. ვანილინის ალდეჰიდი; 10. იასამნის ალდეჰიდი; 11. არაიდენტიფირ.	+ + + + + + - + + +	+ + + + + + + + + -	+ + + + + + + + + +		

**პარალელურად განისაზღვრა არომატიზირებული დვინოების ფიზიკურ-ქიმიური  
მაჩვენებლები. ცხ.№2**

№	მაჩვებებლები	საკონტროლო	დვინო I კომშის მცენარ. ნედლეულით	დვინო-II ლიმონ. მცენარ. ნედლეულით.
1	გარეგანი სახე გამჭვირვალობა	გამჭვირვალე სითხე მინარევების გარეშე.	გამჭვირვალე სითხე მინარევების გარეშე.	გამჭვირვალე სითხე, ოდნავ სიბლანტით მინარევების გარეშე.
2	ფერი	ღია ჩალისფერი დამახასიათებელი ევროპული ტიპისათვის	მუქი ჩალისფერი	ჩალისფერი
3	გემო და არომატი	დამახასიათებელი ევროპული ტიპისათვის	ჯიშურ არომატთან ერთად ჰარმონიულად შერწყმული ექსტრაქტი I- ის არომატი.	ჯიშურ არომატთან ერთად ჰარმონიულად შერწყმული ექსტრაქტი II- ის არომატი.
4	სპირტიანობა %-ში	11,13	11,14	11,12
5	საერთო ექსტრექტი გ/ლ	17,8	19,1	19,9
6	ტიტრული მუვიანობა გ/ლ	5,8	6,1	6,3
7	მქროლავი მუვები გ/ლ	0,57	0,58	0,59
8	ნარჩენი შაქარი გ/ლ	1,27	1,2	1,32

კატებინების თვისებრივი ანალიზი ჩავატარეთ ქაღალდის ქრომატოგრაფიის მეთოდით.

### სურტ 1



I

II

III

დვინოების თხელფენოვანი ქრომატოგრამა:

I—საკონტროლო; (ევროპული ტიპის დვინო)

II—არომატიზირებული დვინო I (კომშის მცენარეული ნედლეულით)

III—არომატიზირებული დვინო II (ლიმონის მცენარეული ნედლეულით)

1. გალის მჟავა; 2. კოფეინის მჟავა; 3.პროტოკატებინის მჟავა;

4. პარა-ქუმარინის მჟავა; 5. 4-ოქსი-ბენზოის მჟავა;

6. ვანილინის მჟავა; 7. იასამნის მჟავა;

8. სალიცილის მჟავა 9. ვანილინის ალდეჰიდი;

10. იასამნის ალდეჰიდი; 11. არაიდენტიფიცირებული.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად არომატიზირებული დვინოები ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით განსხვავდება საკონტროლო ვარიანტისაგან. მცენარეული

ნედლეულის დამატების გამო ისინი გამდიდრებულია სხვადასხვა კომპონენტებით (ცხრილი №2) ექსპერიმენტული მონაცემებით დამტკიცდა, რომ ფენოლური ნივთიერებების შემცველობით მოცემული ნიმუშები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. საკონტროლო ვარიანტთან შედარებით არომატიზირებული ღვინო I უფრო მდიდარი აღმოჩნდა. მასში ფენოლური ნივთიერებებიდან წარმოდგენილია: ოლიგომერული პროანტიცონიდინები; კატეინები; ფენილკარბონმჟავები და სხვ. (ცხრილი №1) კატეინები მათ შორის: (+) კატეინი (+) გალოკატეინი (-) ჰიკარტანინი დიდი რაოდენობითაა არომატიზირებული ღვინო I-ში. ვიდრე საკონტროლო ვარიანტში, ხოლო ღვინო II-ში არ გვხვდება. ოლიგომერული პროანტიცონიდინებით მდიდარი აღმოჩნდა ექსტრაქტი I და არომატიზირებული ღვინო I.

საცდელ და საკონტროლო ნიმუშებში ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული ფენილკარბონმჟავები და ალდეჰიდები წარმოდგენილია სხვადასხვა სპექტრით კერძოდ: ევროპული ტიპის ღვინოში ფენოლკარბონმჟავებიდან: კოფეინის მჟავა და 4-ოქსი-ბენზოის მჟავა უფრო მეტი ოდენობითაა ვიდრე არომატიზირებულ I და II ღვინოში, სამაგიეროდ არომატიზირებულ ღვინო I-ში პარა-კუმარი მჟავა ვანილინის მჟავა და იასამნის ალდეჰიდი უფრო მეტი ოდენობითაა ვიდრე დანარჩენ ორში, ხოლო არომატიზირებულ ღვინო I-ში გალის მჟავა; იასამნის მჟავა; სალიცილის მჟავა; ვანილინის ალდეჰიდი უფრო მეტი რაოდენობით არის წარმოდგენილი, ვიდრე ევროპული ტიპის და არომატიზირებულ ღვინო II-ში. ამავე ღვინოში გვხვდება არაიდენტიფიცირებული ნივთიერებაც.

პარა-კუმარინის მჟავა მკვეთრად გამოხატული ანტივირუსული ოვისებებით ხასიათდება, კოფეინის მჟავას ბაქტერიოციდული მოქმედების უნარი გააჩნია, რომელიც იმდენად მაღალია, რომ მის აქტივობას პენიცილინის გარკვეული ერთეულითაც კი გამოხატავენ ამასთან ერთად კოფეინის მჟავა ანტიდამჟანგელი უნარითაც ხასიათდება ყოველივე ეს ზრდის ღვინოების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დანიშნულებას.


ცნობილია, რომ ალკოჰოლიანი პროდუქტების არომატისა და ბუკეტის გაუმჯობესებაზე დიდ გავლენას ახდენენ არომატული ალდეჰიდები, რომელთაგან ვანილინს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ძლიერი და სასიამოვნო არომატით გამოირჩევა.

ამრიგად. ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემებით აღინიშნა განსხვავება არომატიზირებული ღვინოების ფენოლების, ფენოლკარბონმჟავების, ალდეჰიდების შემცველობის მხრივ, აღნიშნული ცვლილებები კი დადებით გავლენას ახდენენ საცდელი ნიმუშების ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებზე და ზრდიან მათ


ბიოლოგიურ დირებულებას, გარდა ამისა ამ ნივთერებების არსებობა გარკვეული რაოდენობით განსაზღვრავს პროდუქციის ხარისხს და მათ სამკურნალო დირებულებას.

### დვინოების ანტიოქსიდანტური აქტივობა


დვინოების ანტიოქსიდანტური აქტივობა განვსაძღვრეთ ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) მეთოდით.




სურ.Nº1 ეპროპული ტიპის თეთრი დვინის ეპრ სპექტრი



სურ.Nº2 არომატიზირ. დვინო I ეპრ სპექტრი



სურ.Nº3 არომატიზირ. დვინო II ეპრ სპექტრი



სურ.Nº4 კახური ტიპის თეთრი დვინის ეპრ სპექტრი.

### ცხრილი. 3

საკვლევი დგინოების ანტიოქსიდანტური აქტივობა

N	ნიმუშის დასახელება	ანტიოქსიდანტური აქტივობა K
3	ევროპული ტიპის თეთრი დგინო	31%
4	ევროპული ტიპის თეთრი არომატიზირებული დგინო- I (ქომშის ფოთლით)	50,4%
5	ევროპული ტიპის თეთრი არომატიზირებული დგინო -II (ლიმონის ანასხლავით და ფოთლით)	94%
6	კახური ტიპის თეთრი დგინო	91,7%


მიღებული შედეგების გაანალიზებისას ვნახეთ, რომ ევროპული ტიპის დგინის შედარებით დაბალი ანტიოქსიდატიური აქტივობა არომატიზირებულ დგინო I-თან და არომატიზირებულ დგინო II-თან განპირობებულია იმით, რომ ორივე დგინოში შეტანილი მცენარეული დანამატები ზრდიან ამ დგინოების ანტიოქსიდანტურ აქტივობას, რაც აჩვენა არომატიზირებული დგინოებისა და ექსტრაქტების ფენოლური ნაერთების გამოკვლევამ, ხოლო კახური ტიპის დგინის მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა ევროპული ტიპის დგინოსთან და არომატიზირებული დგინო I-თან შედარებით განპირობებულია მისი დაყენების ტექნოლოგიით, რადგან ცნობილია, რომ იგი დუღს კლერტზე, წენიზე და წიაწაზე საიდანაც ყურძნის წვენში გადადის ფენოლური ნივთიერებები.

ამრიგად, ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა სხვადასხვა ტიპის დგინოების ანტიოქსიდანტური აქტივობა. და იგი მერყეობს 31-94% ინტერვალში.


მათგან ყველაზე მაღალ არომატიზირებული დგინო II-ის ანტიოქსიდანტობას როგორც ჩანს ზრდის ლიმონს ქერქში და ფოთოლში შემავალი ნივთიერებები.

არომატიზირებულის სპირტებისა და მაღალალგომლიანი სასმელების “თელავი” და “კახეთი” ანტიოქსიდანტები აქტივობის განსაზღვრა.


არომატიზირებული ღვინოების გამოხდის შედაგად მიღებულ სპირტებში და შემდგომ ამ სპირტების დამკელების შედეგად მიღებულ მაღალალგომლიან სასმელებში “თელავი” და “კახეთი” განვსაზღვრეთ ანტიოქსიდანტები აქრივობა.



N<sup>o</sup>1 ევროპული ტიპის თეთრი ღვინის სპირტი; (საკონტროლო); N<sup>o</sup>2 არომატიზირებული ღვინი I-ის სპირტი; N<sup>o</sup>3 N<sup>o</sup>1-ის შესაბამისი მაღალალგომლიანი სასმელი; (საკონტროლო); N<sup>o</sup>4 N<sup>o</sup>2-ის შესაბამისი მაღალალგომლიანი სასმელი “კახეთი”



არომატიზირებული ღვინი II-ის  
სპირტის ეპრ სპექტრი



მაღალალგომლური სასმელი  
“კახეთი” ეპრ სპექტრი

**ცხ№4**

№	საწყისი ნიმუშები	ანტიოქსიდანტური აქტივობა კ	
		შესაბამისი სპირტები:	მაღალალკოჰოლიანი სასმელები:
1	ევროპული ტიპის თეთრი ლვინო (საქონტროლო)	6%	24%
2	არომატიზირებული ლვინო I (მცენარეული დანამატით)	11%	24% “ჯახეთი”
3	არომატიზირებული ლვინო II(მცენარეული დანამატით)	32%	83% “თელავი”

მიღებული არომატიზირებული სპირტების და მათი შესაბამისი მაღალალკოჰოლიანი არომატიზირებული სასმელების ანტიოქსიდანტური აქტივობა განპირობებილია ერთის მხრივ საკვლევ ნიმუშებში მცენარეული ნედლეულის დამატებით, ხოლო მეორეს მხრივ, შესაბამისი სპირტების წიბრაზე დაყოვნებით.

**არომატიზირებული ლვინოების და სპირტების  
ქრომატოგრაფიული ანალიზი**

აირად-ქრომატოგრაფიული გამოკვლევა ჩატარებული იქნა ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით დამზადებულ არომატიზირებულ ლვინოებზე (I, II) და ევროპული წესით დამზადებულ ლვინოზე ასევე მათი გამოხდის შედეგად მიღებულ სპირტებზე. ნიმუშებში დაფიქსირებული პიკების იდენტიფიცირება მოხდა სტანდარტში მითითებული ნივთიერებების და აგრეთვე ლიმონენის ლინალოლის და ციტრონელოლის ეტალონურ სსნართან შედარებით.

კვლევების შედეგები მოცემულია ცხრილში №5

**ცხ. №5**

ნივთიერების დასახელება	№1 11.11% ღვინო ლიბ. მგ/100 მლ	№2 11.16% ღვინო კომშ. მგ/100 მლ	№3 11.11% ღვინო ევროპ მგ/100 მლ	№1S 58% სპირტ ლიბ. კომ. მგ/ლ	№2S 54% სპირტ კომ. მგ/ლ	№3S 52% სპირტ ევროპ. მგ/ლ
აცეტალდეპიდი	3.929	4.824	2.429	102.98	118.56	101.15
აცეტონი	-	-	-	-	-	-
მეთილ აცეტატი	0.003	0.055	0.024	-	-	-
ეთილაცეტატი	36.079	37.678	6.361	4927.42	5334.25	6368.4
მეთანოლი	-	-	-	0.026 მოც %	-	0.045 მოც.%
2-ბუტანოლი	2.638	2.251	-	-	-	-
1-პროპანოლი	5.191	5.354	-	191.41	233.36	204.83
იზობუტანოლი	30.115	29.816	6,378	853.14	977.52	1118.16
1-ბუტანოლი	-	-	-	-	-	-
იზოამილი	132.684	93.330	22.732	2931.76	2559.38	2771.66
1-პენტანოლი	-	-	-	-	-	-
1-ჟექსანოლი	8.151	5.064	1.057	-	-	-
ბენზალდეპიდი	4.289	3.902	2.253	-	-	-
ბენზილის სპირტი	-	-	-	-	-	-
2-ფენილეთანოლ.	17.951	16.823	9.513	-	-	-
ლიმონენი	0.058	0.010	0.027	8.47	-	-
ლინალოლი	-	0.292	-	-	-	-
(ციტრონელოლი	0.107	0.026	0.003	7.34	-	-

ღვინოებსა და სპირტებში აღმოჩენილი იქნა არომატურმომქმნელი ნივთიერებები: 1. აცეტალდეპიდი; 2. ეთილაცეტატი; 3. 1-პროპანოლი; 4. იზობუტანოლი; 5. იზოამილი; (ჯამური) 6. მეთილაცეტატი; 7. 2-ბუტანოლი; 8. 1-ჟექსანოლი; 9. ბენზალდეპიდი; 10. ლინალოლი; 11. 2-ფენილეთანოლი; 12. ლიმონენი; 13. ციტრონელოლი, ეს ნივთიერებები ღვინის ტიპის მიხედვით დაფიქსირდა სხვადასხვა რაოდენობით.

ყველაზე მდიდარი ამ ნივთიერებებით აღმოჩნდა არომატიზირებული ღვინო კომშის ფოთლით, რომელსაც აქვს ოდნავ ნუშის გემო და აქვს ყვავილოვანი არომატი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ღვინის გამოხდით მიღებულ სპირტში მხოლოდ 5 ნივთიერება გადავიდა მას მაინც აქვს ყვავილის სუნი და არომატი, რომელიც როგორც ჩანს 1-პროპანოლის არსებობითაა განპირობებული..

რაც შეეხება არომატიზირებული ღვინო ლიმონის ანასხლავითა და ფოთლით, ხასიათდება მძლავრი ლიმონის სურნელით და შეიცავს ჩამოთვლილ ყველა ნივთიერებას ლინალოლის გარდა, მისი გამოხდის შედეგად სპირტში გადავიდა 8

ნივთიერება და სასიამოვნო ლიმონის სურნელი და არომატიც, რაც მასში 1-პროპანოლის გარდა ლიმონენს და ციტრონელოლს უნდა მივაწეროთ.

ევროპული ტიპის ღვინოში ჩამოთვლილთაგან 10 ნივთიერება დაფიქსირდა, შესაბამის სპირტში 6, როგორც ღვინოს, ასევე სპირტს აქვს სასიამოვნო არომატი.

მიღებული სპირტები საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენენ ახალი მარკის არომატიზირებული სასმელების დასამზადებლად.

### **არომატიზირებული სპირტების წიგწაზე დაძველება**

ჩვენს მიერ გამოხდილი სპირტები 6 თვით დავაყოვნეთ წიგწაზე. (100 მლლ. საბრენდე სპირტზე ავიღეთ 2 გრ. წიგწა) ჩატარებული ექსპერიმენტით კი სპირტის დაძველებისას წიგწაზე ნათლად დადასტურდა მორიმლავ ნივთიერებათა აღდგენითი უნარი, სრულიად აღდგა ღვინომასალებში არსებული კომშის და ლიმონის სურნელება, არომატი. გარდა ამისა, საბრენდე სპირტის წიგწაზე დაძველება მომგებიანა იმ თვალსაზრისით, რომ დანაკარგები ფაქტიურად არ არსებობს. მიღებულ მაღალალკოჰოლურ საკვლევ სასმელებში 6 თვის შემდეგ ვანგსაზღვრეთ საერთო ფენოლების კონცენტრაცია. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში №6

#### **ცხრილი №6**

№	ნიმუშები	საერთო ფენოლების კონცენტრაცია
6	საკონტროლო ნიმუში (წიგწაზე დაყოვნებით) 0,1 მლლ-100, =1000	0,32 გ/ლ
7	მაღალალკოჰოლიანი სასმელი „კახეთი“ (წიგწაზე დაყოვნებით) 0,1 მლლ-100, =1000	0,36 გ/ლ
8	მაღალალკოჰოლიანი სასმელი „ოქლავი“ (წიგწაზე დაყოვნებით) 0,1 მლლ-100, =1000	0,81 გ/ლ

როგორც ცხრილიდან ჩანს მაღალალკოჰოლურ სასმელებში -“ქახეთი” და “თელავი” საერთო ფენოლების კონცენტრაცია შედარებით მაღალია, ვიდრე საკონტროლომ, ეს კოველივე განპირობებულია შესაბამის სასმელებში მცენარეული ნედლეულიდან გადასული ფენოლური ნივთიერებებით.

ამრიგად, სპირტის დაყოვნებამ წიბწაზე გამოიწვია წიბწაში არსებული ფენოლური ნივთიერებების გადასვლა სპირტებში, რის შედეგადაც მივიღეთ ფენოლური ნივთიერებების მაღალი კონცენტრაცია, და შესაბამისად მისი სამკურნალო ღირებულებაც გაიზარდა, გარდა ამისა მცენარეული დანამატებიდან გადასულმა ნივთიერებებმა კიდევ უფრო გაამდიდრა შესაბამისი სასმელები ფენოლური ნივთიერებებით და იმ მცენარეული სურნელითა და გემოთი რომელიც პქონდათ შესაბამის მცენარეებს.

### ძირითადი დასკვნები:

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ექსპერიმენტული მასალის განხილვისა და გაანალიზების შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. არომატიზირებული მაღალალკოჰოლური სასმელების მისაღებად ჩვენს მიერ პირველად იქნა გამოყენებული ლიმონის ანასხლავი და ფოთოლი, და კომშის ფოთოლი, რისთვისაც გამოკვლეული იქნა მათი გამონაწვლილები.

დადგინდა, რომ: კომშის ფოთლის ექსტრაქტი უფრო დიდი რაოდენობით შეიცავს საერთო ფენოლურ ნივთიერებებს 1,25 გ/ლ ვიდრე ლიმონის ანასხლავისა და ფოთოლის 0,75 გ/ლ. ასევე ოლიგომერული პროანტოციანდინები 364 მგ/ლ და კატეხინები 185 მგ/ლ, უფრო მეტი რაოდენობითაა პირველ ექსტრაქტში, ვიდრე მეორეში-რომელშიც ოლიგომერული პროანტოციანდინები 52 მგ/ლ ხოლო კატეხინები 43 მგ/ლ-ია.

2. დადგენილია, რომ არომატიზირებლი ღვინო კომშის ფოთლით უფრო დიდი რაოდენობით შეიცავს საერთო ფენოლურ ნივთიერებებს-0,36 გ/ლ ვიდრე არომატიზირებული ღვინო ლიმონის ანასხლავითა და ფოთლით-0,26 გ/ლ. ასევე ოლიგომერული პროანტოციანდინები 164 მგ/ლ და კატეხინები 105 მგ/ლ, უფრო მეტი რაოდენობითაა პირველ ღვინოში, ვიდრე მეორეში, სადაც ოლიგომერული პროანტოციანდინები 104 მგ/ლ ხოლო კატეხინები 78 მგ/ლ-ია.

3. თხელფენოვანი ქრომატოგრამის ჩატარებისას არომატიზირებული დვინოებზე დადგინდა: საკონტროლო ვარიანტთან შედერებით ფენოლური ნივთიერებებით მდიდარი აღმოჩნდა არომატიზირებული დვინო კომშის ფოთლით, ხოლო ფენილკარბონმჟავები და ალდენიდები დაფიქსირდა სხვადასხვა სპეციალისტთან.
4. ელექტრონული პარამაგნიტური მეთოდის გამოყენებით განისაზღვრა დვინომასალების ანტიოქსიდანტური აქტივობა.

დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა არომატიზირებულ დვინოში ლიმონის ანასხლავითა და ფოთლით-94%; შემდეგი იყო კახური ტიპის თეთრი დვინო-91,7%; შემდეგ არომატიზირებული დვინო კომშის ფოთლით-50,4% და ბოლო ევროპული ტიპის თეთრი დვინო-31%.

5. ელექტრონული პარამაგნიტური მეთოდის გამოყენებით განისაზღვრა არომატიზირებული დვინოების და ევროპული ტიპის (საკონტროლო) გამოხდის შედეგად მიღებული სპირტების ანტიოქსიდანტური აქტივობა.

დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა იმ არომატიზირებულ სპირტში რომლის დვინომასალაში შეტანილი გვქონდა ლიმონის ანასხლავი და ფოთლი-32%; შემდეგი იყო არომატიზირებული სპირტი რომლის დვინომასალაში შეტანილი გვქონდა კომშის ფოთლი-11%, და ბოლოს ევროპული ტიპის თეთრი დვინის სპირტი-6%.

6. საკვლევ სპირტებში წიბრაზე 6 თვიანი დაყოვნების შემდეგ განისაზღვრა საერთო ფენოლების რაოდენობა:

დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მაღალალკოჰოლურ სასმელში ლიმონის არომატით სახელწოდებით “თელავი”-0,81 გ/ლ; შემდეგი იყო მაღალალკოჰოლურ სასმელი კომშის არომატით სახელწოდებით “კახეთი” 0,36 გ/ლ; და ბოლოს საკონტროლო მაღალალკოჰოლურ სასმელი-0,32 გ/ლ.

7. საკვლევი სპირტების წიბრაზე 6 თვიანი დაყოვნების შემდეგ განისაზღვრა მათი ანტიოქსიდანტური აქტივობა.

დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მაღალალკოჰოლურ სასმელში ლიმონის არომატით სახელწოდებით “თელავი”-83%; შემდეგი იყო მაღალალკოჰოლურ სასმელი კომშის არომატით სახელწოდებით “კახეთი” 24%. და საკონტროლო მაღალალკოჰოლურ სასმელი-24%.

ამრიგად, საერთო ჯამში ყველაზე მაღალი ანტიოქსიდანტური მაჩვენებელი დაფიქსირდა ერთი ტიპის იმ სასმელებში, რომელშიც შეტანილი გვქონდა ლიმონის ანასხლავი და ფოთლი, როგორც ცნობილია ლიმონი შეიცავს დიდი

რაოდენობით ვიტამინ C-ს, რომელიც ძალიან ძლიერი ანტიქსიდანტია, ასევე სხვადასხვა ფენოლურ ნივთიერებებს, რომლების სასმელში გადავიდა ეტაპობრივად სხვადასხვა სტადიაზე, ხოლო წიბრაზე დაძველებამ საბოლოვო პროდუქტში კოდეგ უფრო გაზარდა ანტიქსიდანტური მაჩვენებელი წიბრიდან ალკოჰოლის მიერ ფენოლური ნივთიერებების გამოწვლილვის გამო.

8. საკონტროლო და არომატული ღვინოებდან არომატული კომპონენტების ექსტრაქციისა და აირ-ტემპერატურული კვლევის შედეგად დადგენილია: არომარომატული ნივთიერებებით ყველაზე მდიდარია არომატიზირებული ღვინო კომშის ფოთლით, (13 ნივთიერება) შემდეგ არომატიზირებული ღვინო ლიმონის ანასხლავითა და ფოთლით (12 ნივთიერება) და ბოლოს საკონტროლო- ევროპული ტიპის თეთრი ღვინო (10 ნივთიერება). არომატიზირებული ღვინების სასიამოვნო გემო და არომატი განპირობებულია უმეტესად ლიმონენის, ლინალოოლის, ციტრონელოლის, 1-ჰექსანოლის, 1-პროპანოლის ღვინოებში არსებობოთ.

9. აირ-ტემპერატურული კვლევის შედეგად დადგენილია: საკონტროლო და არომატული ღვინოების გამოხდის შედეგად არომატული კომპონენტების დინამიკა სპირტებში. ყველაზე მეტი კომპონენტი გადავიდა არომატიზირებული ღვინოდან ლიმონის ანასხლავითა და ფოთლით (8 ნივთიერება); ყველაზე ნაკლები კი არომატიზირებული ღვინოდან კომშის ფოთლით, (5 ნივთიერება), თუმცა ორივეში შენარჩუნდა მოცემული მცენარეების სურნელი და არომატიც.

10. ეკონომიკური თვალთახედვით საქმაოდ მომგებიანია მაღალალკოჰოლური სასმელების “თელავი” და “კახეთი” წარმოებისას მათი დაყოვნება წიბრაზე, რადგანაც მუხის კასრებში დაყოვნებისაგან განსხვავებით, არანაირ დანაკარგს არა აქვს ადგილი როგორც სიმაგრის ისე რაოდენობის მხრივ.

11. ეკონომიკური თვალთახედვით ასევე მომგებიანია წიპრის და ლიმონის ანასხლავის გამოყენება, დღეისათვის ისინი ექვემდებარება უტილიზაციას, ჩვენ კი ვიყენებთ პროდუქციის საწარმოვებლად.

**სადისერტაციო ნაშრომის თემაზე გამოქვეყნებული  
შრომების სია:**

1. ბედიანიძე ლ. თნიკაძე ე.  
ალკოჰოლის გავლენა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მიმდინარეობაზე.  
გავარის სახ. უნივერსიტეტის შრომების კრებული 2009წ. გვ.129-133.
2. **Бедианидзе Л. М., Джавахишвили М.**  
**Новый бренд**  
Materials of the Gavar State Universiti Scientific Conference №13, 2011.
3. ბედიანიძე ლ. ჯავახიშვილი შ.  
არომატიზირებული ღვინოების შედარებითი ანტიოქსიდანტური აქტივობა  
სხვადასხვა ტიპის ღვინოების მიმართ  
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა  
კრებული ტომი 3. №3 (52) თბილისი 2010
4. Бедианидзе Л. М., Джавахишвили М. А  
Фенольные соединения ароматизированных вин  
GEORGIAN ENGINEERING NEWS, No. 3. (vol.55), 2010 ст. 103-105
5. Бедианидзе Л.М.  
Анализ хроматографического исследования ароматизированных вин и соответствующего  
спирта (II)  
GEORGIAN ENGINEERING NEWS, No. 1. 2011 ст. 127-128
- 6 ბედიანიძე ლ. ჯავახიშვილი შ.  
არომატიზირებული ღვინის და შესაბამისი სპირტის (I) ქიმიური  
შედეგნილობის გამოკვლევა.  
საქართველოს ქიმიური საზოგადოების ურნალი №2 2011  
  
ბედიანიძე ლ.  
მაღალალგობრი სასმელი “თელავი”. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პროფესორ-მასწავლებელთა XIV (69) კონფერენცია.

Iakob Gogebashvili Telavi State University

**L e i l a B e d i a n i d z e**

Creating New Brands of High Alcohol Beverages from Alcohols Received from  
Distillation of Aromatized Wine Materials

Specialty: 05.18.07. – Technology of Producing Alcoholic and Non Alcoholic  
Food products

**Synopsis**

of Dissertation Submitted  
For the Academic Degree of Doctor of Product Technologies

Telavi 2011

The work is done on Chemistry-Technology and Agriculture  
Department of Iakob Gogebashvili Telavi State University

Head of Research: Technologies Academic Doctor Associated  
Professor Mate Javakhishvili

Connoisseurs: 1. Academic Doctor , Professor  
Bukha Tsereteli  
2. Academic Doctor of Technology  
Mariam Khositashvili

Defend of dissertation will be held on July 14, 2011, at 12 o'clock at the session of Dissertation Board of the faculty of Agriculture and Processing Branches of Iakob Gogebashvili Telavi State University.

Address: 1 Kartuli Universiteti Street, Telavi

Dissertation resume was sent: July 28 th , 2011 year

Secretary of Dissertation Council,  
Scientific Doctor of Chemistry  
Associated Professor:

Mzia Gagolisgveli

## General Characterization of Work

**Problem actuality.** From grape products high alcoholic beverages have an important place in country economy; accordingly their production is one of the most important fields of wine industry.

